ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N63

ქ.თბილისი

2 დეკემბერი, 2024 წელი
10[45]საათი

საკრებულოს ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები:

ლევან აბაშიძე - სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე;

ლევან არველაძე - ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე;

ნინო ვარდოსანიძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე;

ნიკოლოზ კახეთელიძე - გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე;

კახაბერ ლაბუჩიძე - განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე;

შალვა ოგბაიძე - სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

გურამ ოქროპირიძე - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე;

რევაზ სოხაძე - ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე;

ზურაბ ჩიკვილაძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ლევან ჯაფარიძე - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეები:

ოთარ გრიგოლია - ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის საკითხები:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის აკაკი ალადაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე";
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვლადიმერ ბოჟაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე";
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ირაკლი ხელაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე";
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზაზა თავაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე".

გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილი ერთ-ერთი საკითხი ეხება ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარის ზაზა თავაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, რაც თავის მხრივ, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იწვევს ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" გაუქმებას. აქვე აღნიშნა, რომ ფრაქცია გაუქმებულად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტში ზაზა თავაძის უფლებამოსილების ცნობის მომდევნო დღიდან (26.11.2024წ.).

საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა:

1. მიღებული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის აკაკი ალადაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე";
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვლადიმერ ბოჟაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე";
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ირაკლი ხელაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე";
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზაზა თავაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე".

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე — გიორგი ახვლედიანი